№4922/1

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ვიცე პრემიერს

ბატონო მიხეილ ჯანელიძეს

ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის შესახებ

თბილისი, 17 იანვარი, 2018 წ.

ბატონო მიხეილ,

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონდებლო ცვლილებათა პაკეტი მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთდა.

გვსურს, ხაზი გავუსვათ იმ ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელიც ჩამოყალიბდა ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას და მეორე მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება მოგვეცა ჩავრთულიყავით ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების სამოქმედო გეგმებისა და საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შემუშავების პროცესში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ, აღნიშნული თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება, დაეფუძნება რა უკვე არსებულ გამოცდილებას.

გვსურს მოგმართოთ თხოვნით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მოგვცეთ საშუალება ჩავერთოთ 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შემდეგი მიმართულებებით: მართლმსაჯულება, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და საჯარო სამსახურის რეფორმა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, წამება და არასათანადო მოპყრობა, თანასწორობა, ბავშვთა

უფლებები, პროფესიულ გაერთიანებათა უფლებები და შრომის ძირითადი სტანდარტები და გარემოს დაცვა.

ხელმომწერი ორგანიზაციები ღია ვართ თანამშრომლობისათვის და დაველოდებით სამუშაო ფორმატისა და თქვენი უწყებიდან შესაბამისი საკონტაქტო პირის განსაზღვრას.

მწვანე ალტერნატივა მანანა ქოჩლაძე აღმასრულებელი დირექტორი მწვანე ალტერნატივა	ირმა პავლიაშვილი აღმასრულებელი დირექტორი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA ეკა გიგაური აღმასრულებელი დირექტორი საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო	EMC Human Rights Education and Monitoring Center ლინა ღვინიანიძე ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
Sapari / საფარი ბაია პატარაია აღმასრულებელი დირექტორი კავშირი „საფარი“	PHR ანა არგანაშვილი აღმასრულებელი დირექტორი პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION ქეთი ხუციშვილი აღმასრულებელი დირექტორი ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“	